**პროექტი**

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულო

**2019 წლის —— მაისი** **ქალაქი ბათუმი**

# გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა N

ქ. ბათუმში, ლუკა ასათიანის ქ. N5-ში განთავსებულ ოთარ ჭილაძის მემორიალურ დაფაზე თამაზ ჭილაძის სახელის დამატების შესახებ

„კულტურის შესახებ“ საქართველოს კანონის მე–19 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და „მონუმენტური სახვითი ხელოვნების ძეგლის (ქანდაკების), ობელისკის, მემორიალური დაფისა და სხვა მემორიალური ობიექტის განთავსების წესის დამტკიცების შესახებ“ თვითმმართველი ქალაქი ბათუმის საკრებულოს 2007 წლის 26 აპრილის №5–7 დადგენილებით დამტკიცებული წესის მე–7 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულომ
გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა :

1. ქართველი მწერლის, პოეტისა და დრამატურგის თამაზ ჭილაძის ხსოვნის უკვდავსაყოფად ქ. ბათუმში, ლუკა ასათიანის ქ. N5-ში განთავსებულ მემორიალურ დაფას დაემატოს თამაზ ჭილაძის სახელი, ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ქალაქგანვითარებისა და ურბანული პოლიტიკის სამსახურთან შეთანხმებული პროექტის (ესკიზის) მიხევით.
2. ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიამ განკარგულების შესრულების მიზნით განახორციელოს შესაბამისი ორგანიზაციულ-სამართლებრივი ღონისძიებები.
3. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

**საკრებულოს თავმჯდომარე** **სულიკო თებიძე**

# განმარტებითი ბარათი

## პროექტის სახელწოდება და სათაური

,,ქ. ბათუმში, ლუკა ასათიანის ქ. N5-ში განთავსებულ ოთარ ჭილაძის მემორიალურ დაფაზე თამაზ ჭილაძის სახელის დამატების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი

## ა) ზოგადი ინფორმაცია პროექტის შესახებ

ა.ა) პროექტის ძირითადი არსი:

ქართველი მწერალი, პოეტი და დრამატურგი, საქართველოს მწერალთა კავშირის წევრი, საქართველოს სახელმწიფო პრემიისა და შოთა რუსთაველის პრემიის ლაურეატი თამაზ ჭილაძე დაიბადა 1931 წელს სიღნაღში. სწავლობდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიურ ფაკულტეტზე, შემდეგ კი — ასპირანტურაში. პირველი ლექსი 15 წლისამ დაწერა.

თამაზ ჭილაძე მუშაობდა „ცისკარში“ განყოფილების გამგედ (1958-1964); რუსთაველის პრემიების კომიტეტში — პასუხისმგებელ მდივნად (1964-1972); ჟურნალ „საბჭოთა ხელოვნებაში“ — მთავარ რედაქტორად (1972-1981), მწერალთა კავშირში-მდივნად (1981-1987); ჟურნალ ,,მნათობის“ მთავარ რედაქტორად 1997 წლიდან.

თამაზ ჭილაძეს მიღებული აქვს რუსთაველის (1992), სახელმწიფო (1997) და კიდევ რამდენიმე სხვა პრემია, მათ შორის ალექსანდრე ყაზბეგის, აკაკი წერეთლის, გიორგი შარვაშიძის სახელობის პრემიები. 1996 წელს დასავლეთ გერმანიის რადიო მაუწყებლობამ მიანიჭა პირველი პრემია პიესისათვის „სამოთხის კვარტეტი“. 1999 წელს კემბრიჯის საერთაშორისო ბიოგრაფიულმა ცენტრმა 1999-2000 წლების „საერთაშორისო ადამიანის“ წოდების ნომინანტად დაასახელა. 1957-2018 წლებში იყო მწერალთა კავშირის წევრი.

თამაზ ჭილაძე ხანგრძლივი ავადმყოფობის შედეგად 87 წლის ასაკში გარდაიცვალა

ა.ბ) პროექტის ძირითადი არსი:

წარმოდგენილი პროექტი ითვალისწინებს ქ. ბათუმში, ლუკა ასათიანის ქ. N5-ში განთავსებულ ოთარ ჭილაძის მემორიალურ დაფაზე თამაზ ჭილაძის სახელის დამატებას.

## ბ) პროექტის ფინანსური დასაბუთება

**ბ.ა)პროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო:**

თვითმმართველი ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია

**ბ.ბ) პროექტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო და ხარჯვით ნაწილზე:**

გავლენას ახდენს ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე.

**ბ.გ) პროექტის მოსალოდნელი ფინანსური შედეგები იმ პირთათვის, რომელთა მიმართაც ვრცელდება პროექტის მოქმედება:**

წარმოდგენილ პროექტს კონკრეტული ფინანსური შედეგი გააჩნია.

## გ) პროექტის შესაბამისობა უპირატესი იურიდიული ძალის მქონე ნორმატიულ აქტებთან

**პროექტის შესაბამისობა უპირატესი იურიდიული ძალის მქონე ნორმატიულ აქტებთან:**

პროექტი მთლიანად შეესაბამება უპირატესი იურიდიული ძალის მქონე ნორმატიულ აქტებს.

## დ) პროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულ-ტაციები

**სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზა-ცია/დაწესებულება, ექსპერტები, სპეციალისტები, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს პროექტის შემუშავებაში და მათი შეფასება პროექტის მიმართ (ასეთის არსებობის შემთხვევაში):**

პროექტის შემუშავებაში ზემოაღნიშნული სუბიექტები არ მონაწილეობდნენ.

## ე) პროექტის ავტორი:

საკრებულოს განათლების, კულტურის, ტურიზმისა და სპორტის საკითხთა კომისია.

## ვ) პროექტის ინიციატორი:

საქართველოს მწერალთა შემოქმედებითი კავშირის აჭარის ორგანიზაცია.

## ზ) განმარტებითი ბარათის მომზადებაზე უფლებამოსილი პირის თანამდებობა, სახელი, გვარი და ხელმოწერა:

**საკრებულოს განათლების, კულტურის, ტურიზმისა და სპორტის საკითხთა კომისიის თავმჯდომარე** **ირაკლი პატარიძე**

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
განათლების, კულტურის, ტურიზმისა და სპორტის
საკითხთა კომისიის სხდომის

# დ ა ს კ ვ ნ ა

ქ. ბათუმი 2019 წლის 10 აპრილი

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლების, კულტურის, ტურიზმისა და სპორტის საკითხთა კომისიამ თავის სხდომაზე განიხილა მიმდინარე წლის საკრებულოს სხდომაზე განსახილველი შემდეგი საკითხი:

1. ,,ქ. ბათუმში, ლუკა ასათიანის ქ. N5-ში განთავსებულ ოთარ ჭილაძის მემორიალურ დაფაზე თამაზ ჭილაძის სახელის დამატების თაობაზე" ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლების, კულტურის, ტურიზმისა და სპორტის საკითხთა კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნია საკითხის განხილვა საკრებულოს სხდომაზე.

კომისიის თავმჯდომარე: ირაკლი პატარიძე

# ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერი
# MAYOR OF BATUMI MUNICIPALITY

N 25/4167
11/03/2019

4167-25-2-201903111642

**ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის**
**საკრებულოს თავმჯდომარეს**
**ბატონ სულიკო თებიძეს**

**ბატონო სულიკო,**

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-80 მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, გეგზავნებათ, ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიაში შემოსული საქართველოს მწერალთა შემოქმედებითი კავშირის აჭარის ორგანიზაციის წერილი (7133/25; 05.03.2019წ).

**დანართი: „ 3" ფურცელი**

პატივისცემით,

ლაშა კომახიძე

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერი

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულო
№ 11/118
„12" მარტი, 2019 წ.

6010. ლუკა ასათიანის ქ. №25. ტელ: 0 (422) 27 26 26. ფაქსი: 0 (422) 27 26 01
6010. №25, Luka Asatiani str., ph: + 995 (422) 27 26 26. fax: + 995 (422) 27 26 01. E-mail: info@batumi.ge

# საქართველოს მწერალთა შემოქმედებითი კავშირის აჭარის ორგანიზაცია

ქ. ბათუმი. მელიქიშვილის ქ. №21 ☎ 27-15-30


№ 3 04 მარტი 2019 წ.

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერს,
ბატონ **ლაშა კომახიძეს**

ბატონო ლაშა,

მიმდინარე წლის 15 იანვარს მოგმართეთ თხოვნით ბათუმში დადგმულიყო ზურაბ გორგილაძის ბიუსტი, რომელსაც აფინანსებს მთლიანად ბიზნესმენი გოჩა ირემაძე. ამასთან გთხოვდით ლუკა ასათიანის ქუჩის №5-ში განთავსებულ ოთარ ჭილაძის მემორიალურ დაფას დამატებოდა თამაზ ჭილაძის სახელი. ასევე უკვე არსებულ ოთარ ჭილაძის ქუჩას დამატებოდა თამაზის სახელი და გადაკეთებულიყო ძმები ჭილაძეების ქუჩად.

**სამწუხაროდ თვენახევარზე მეტი გავიდა და მერიისგან არავითარი პასუხი არ მიგვიღია.** ზურაბ გორგილაძის ბიუსტი მზად არის. მის დადგმის თაობაზე ველოდებით თქვენს გადაწყვეტილებას.

ბოდიშს გიხდით განმეორებით შეწუხებისათვის.

15 იანვარს გამოგზავნილი წერილების ასლები თან ერთვის.

პატივისცემითა და
საუკეთესო სურვილებით

საქართველოს მწერალთა შემოქმედებითი კავშირის
აჭარის ორგანიზაციის თავმჯდომარე **დავით თედორაძე**


№ 7133/25
05 03 2019 წ.

# საქართველოს მწერალთა შემოქმედებითი კავშირის აჭარის ორგანიზაცია

ქ. ბათუმი. მელიქიშვილის ქ. №21 ☎ 27-15-30


№ 2 15 იანვარი 2019 წ.

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერს,
ბატონ **ლაშა კომახიძეს**

ბატონო ლაშა,

როგორც თქვენთვის ცნობილია ბათუმელმა ბიზნესმენმა და ქველმოქმედმა გოჩა ირემაძემ რამოდენიმე წლის უკან ირანელისგან გამოისყიდა თვალსაჩინო პოეტისა და საზოგადო მოღვაწის ზურაბ გორგილაძის მამა-პაპისეული სახლი, სადაც იხსნება (რემონტის შემდეგ) პოეტის სახლ-მუზეუმი. ჩვენი თხოვნით, გოჩა ირემაძე სრულად აფინანსებს ზურაბ გორგილაძის ბიუსტს, რომლის განთავსებაც ბათუმის შემოქმედებითი ინინტელიგენციის სურვილით, გვინდა მისივე სახელობის ქუჩასთან, ე. წ. ვარდების სკვერში დაიდგას და სკვერსაც ზურაბის სახელი ეწოდოს.

ბატონმა გოჩა ირემაძემ ბიუსტი შეუკვეთა ცნობილ ბათუმელ სკულპტორს დავით ბოლქვაძეს. ამჟამად ბიუსტი მზადდება ჩამოსასხმელად. ჩვენი თხოვნაა ჩართოთ არქიტექტორები, რათა დროულად შეირჩეს და გადაწყდეს ბიუსტის დადგმის ადგილი.

ამ საქმის დადებითად გადაწყვეტით და მოგვარებით ჩვენ მოვიგებთ ზურაბ გორგილაძის უამრავი მკითხველისა და თაყვანისმცემლის გულს, რომელთა შორისაც ვართ თქვენ და მე.

პატივისცემით,

საქართველოს მწერალთა შემოქმედებითი კავშირის
აჭარის ორგანიზაციის თავმჯდომარე **დავით თედორაძე**

# საქართველოს მწერალთა შემოქმედებითი კავშირის აჭარის ორგანიზაცია

ქ. ბათუმი. მელიქიშვილის ქ. №21 ☎ 27-15-30


№ 1 15 იანვარი 2019 წ.

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერს,
ბატონ **ლაშა კომახიძეს**

ბატონო ლაშა,

ბათუმში, ლუკა ასათიანის ქუჩის №5-ში გაკეთებული მემორიალური დაფა გვაუწყებს, რომ ამ სახლში 1933-1946 წლებში ცხოვრობდა დიდი ქართველი მწერალი ოთარ ჭილაძე. ბატონი ოთარი მოვლენა გახლდათ ქართულ და არა მარტო ქართულ მწერლობაში და ქართველ კლასიკოსებთან ერთად განისვენებს მთაწმინდაზე. ქართულ მწერლობაში არანაკლებ დიდი მოვლენა იყო ოთარის უფროსი ძმა თამაზ ჭილაძე, რომელიც გასულ წელს გარდაიცვალა.

ბათუმელებს საამაყო გვაქვს, რომ ჩვენი თანაქალაქელები იყვნენ (როგორც მწერალი შოთა ზოიძე უწოდებს) პლანეტარული მწერლები ოთარ და თამაზ ჭილაძეები. ვფიქრობ არაა აუცილებელი აქვე ჩამოვთვალო მათი პრემიები და მიღწევები საერთაშორისო ასპარეზზე.

წერილის მიზანია გთხოვოთ ზემოთ აღნიშნულ მემორიალურ დაფას დაემატოს, რომ ამ სახლში ცხოვრობდნენ დიდი ქართველი მწერლები ოთარ და თამაზ ჭილაძეები.

ამასთან, ბათუმში არის ოთარ ჭილაძის ქუჩა.

ბ-ნ თამაზის მონაცემები სრულად აკმაყოფილებს იმ მოთხოვნებს, რომ ბათუმში რომელიმე ქუჩას ეწოდოს მისი სახელი. თუ ამისი საშუალება ვერ გამოიძებნება შეიძლება ქუჩასაც ეწოდოს ძმები ჭილაძეების ქუჩა.

პატივისცემით,

საქართველოს მწერალთა შემოქმედებითი კავშირის
აჭარის ორგანიზაციის თავმჯდომარე **დავით თედორაძე**